

**„ქართლის ცხოვრების“ მოტივები ვასილ ბარნოვის შემოქმედებაში
(„პირიმზისა“ და „თამარ მრწემის“ მიხედვით)**

ფიქრია კვიციანი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე შუა საუკუნეების კვლევების (ენა,
ლიტერატურა, ისტორია, ფილოსოფია, ხელოვნების ისტორია, რელიგია) მაგისტრის
აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად*

*შუა საუკუნეების კვლევები (ენა, ლიტერატურა, ისტორია, ფილოსოფია, ხელოვნების
ისტორია, რელიგია)*

სამეცნიერო ხელმძღვანელი : ეკა ჭყვიციანი , ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2020

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის

მეცნიერება და ხელოვნების ფაკულტეტის

დეკანს ბატონ გიორგი გვალას

ამავე ფაკულტეტის შუა საუკუნეების კვლევების

მაგისტრანტის ფიქრია კიკილაშვილის

გ ა ნ ა ც ხ ა დ ი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მითითებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად .

ფიქრია კიკილაშვილი

2020 წელი

აბსტრაქტი

ჩვენი სამაგისტრო ნაშრომის თემა არის XX საუკუნის ქართული ისტორიული რომანის შეუსწავლელი ნიმუშები. საკვლევ მასალად წარმოდგენილია ვასილ ბარნოვის „პირიმზე“ და „თამარ მრწემი“. ჩვენ მიერ წარმოდგენილ ისტორიულ რომანებზე არ არსებობს მნიშვნელოვანი კვლევა, არც ცალკეული სტატიები, ამიტომ წინამდებარე სამაგისტრო ნაშრომში შევეცადეთ ზემოთ აღნიშნული ლიტერატურულ ნაწარმოებები ფართოდ და სრულყოფილად წარმოგვედგინა. შევეცადეთ შუა საუკუნეების საქართველოს ორი თამარის, ორი პროტაგონისტი ქალისადმი ქართველთა ინტერესის გააზრებას, წყაროთა ანალიზს, ისტორიული კონტექსტის მიმოხილვას და იმდროინდელი რეალობის რეპრეზენტაციას.

სამაგისტრო ნაშრომში გამოყენებული გვაქვს როგორც ისტორიული, ასევე სამეცნიერო და მხატვრული ლიტერატურა, რომელიც დაკავშირებულია ჩვენი კვლევის ორ მთავარ სუბიექტთან: თამარ მეფესა და დავით ულუს შვილ თამართან.

ნაშრომში შესწავლილია XII-XIII საუკუნეების ეპოქა და ბაგრატიონთა სამეფო კარის ორი წარმომადგენელი, ორივე თამარი ერთი მხრივ ვასილ ბარნოვის რომანების მიხედვით, ხოლო მეორე მხრივ ისტორიულ წყაროებზე დაყრდნობით. განხილულია მწერლის დამოკიდებულება მათ მიმართ. მიმოხილულია აგრეთვე ბარნოვის შემოქმედების მიზანი; ისტორიული ფაქტების მწერლისეული გააზრება და არაისტორიული ფაქტების წყაროსთან მიმართება. ჩვენი მიზანია გავარკვიოთ, რამდენადაა გამოყენებული „ქართლის ცხოვრება“ ვ. ბარნოვის შემოქმედებაში, კერძოდ „პირიმზესა“ და „თამარ მრწემში“.

წინამდებარე ნაშრომში ასევე განხილულია სახელმწიფო ორიენტაციის საკითხი, საქართველოს და ქართველი დიდებულების დამოკიდებულება მუსლიმანური და ქრისტიანული ქვეყნების მიმართ, გართულებული საგარეო ურთიერთობები ძლიერ მეზობლებთან, საუბარია სამეფო ტახტის დასაკავებლად ბრძოლის არაფორმალური

მეთოდების შესახებ, სამეფო კარზე არსებულ ინტრიგებზე, აკრძალული სიყვარულის არსებობის საკითხზე, აგრეთვე ჩვენი მთავარი გმირების ისტორიებზე, სილამაზით მომაჯადოებელი ქალების მიმართ ტრფობასა და ამ ასპექტების პოლიტიკურ მნიშვნელობაზე.

ნაშრომში მიმოხილულია გამოგონილი და ისტორიულ პირთა ვინაობის საკითხი, საუბარია ორი თამარის სახელმწიფოებრივ, პიროვნულ, გარეგნულ თუ სულიერ თვისებებზე. განხილულია ქალი, როგორც მნიშვნელოვანი ფიგურა ქვეყნის მმართველობაში. კვლევისას ვცდილობთ დავიცვათ მაქსიმალური ბალანსი ლიტერატურულ ნაწარმოებსა და ისტორიული სინამდვილეს შორის.

მიგვაჩნია, რომ ნაშრომში განხილული საკითხები საინტერესო იქნება შუა საუკუნეების ისტორიის და ლიტერატურის მკვლევართათვის. აგრეთვე XX საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიით, განსაკუთრებით, ისტორიული რომანით როგორც ჟანრით დაინტერესებულთათვის, სტუდენტებისა და მკითხველებისთვის. განსაკუთრებით მათთვის, ვინც იკვლევს მხატვრული ლიტერატურისა და ისტორიული წყაროს ურთიერთმიმართებას. ვფიქრობთ ნაშრომი საინტერესოა, არა მხოლოდ საუნივერსიტეტო, არამედ ამ საკითხებით დაინტერესებული ფართო აუდიტორიისათვისაც.

ძირითადი საძიებო სიტყვები : ქართული ისტორიული რომანი, ისტორიული ფაქტები ლიტერატურაში, შუა საუკუნეების ქართველი დედოფლები, თამარ მეფე, დავით ულუს ასული თამარი, ვასილ ბარნოვი, სახელმწიფო ორიენტაციის საკითხი.

Abstract

The subject of our master's thesis is unexplored patterns of the Georgian Historical novel, which is created XX century. Vasil Barnov's "Pirimze" and "Tamar mrtsemi" are presented as a research materials. There is no any researchs or articles on this historical novels, so in this thesis we will try to present the mentioned novels perfectly. We tried to understand the interest's of the Georgians about two Tamari, the two protagonists woman, also we tried to analise the reality of that time.

In this master's thesis we used historical and scientific literature, which in connected to main subjects of our research: Queen Tamar and the daughter of Davit Ulu- Tamar.

In this work, we studied two representatives of XII-XIII centuries, both Tamar, on the one hand by Vasil Barnov's novels, and on the one hand based on historical materials. We discussed the writer's attitude towards them, as well as, the purpose of Barnov's works. Our purpose is to find out how much is used "Kartlis Tskhovreba" In Vasil Barnov's novels called "Pirimze" and "Tamar mrtsemi".

In this discuss, we find out the issues of statute orientation, we will talk about the attitude of Georgian nobility towards Muslim and Christian countries, about difficult relations with strong neighbors, about intrigues at the royal

court, also the forbidden love and the history of our main characters, as well as, the political significance of the feelings towards thrilling beautiful women .

In thesis we have reviewed identity of historical and fictional figures. Also, there are issues about personal and spiritual characters of the two Tamar, the woman as important figure of governance of the country. We will try to protect the balance between literary and historical reality.

We think, that the reviewed issues will be interesting for the scholars of medieval history and literature, also for people who are interested in Georgian literature in XX century, for students and readers. To sum up, we consider, that this work will be interesting for not just university, but a wide audience interested in these issues.

Key words: Georgian historical novel, historical facts in literature, Georgian Queens, Queen Tamar, Daughter of David Ulu-Tamar, Vasil Barnov, the issue of state orientation.